ჩემპიონატი

სტალინგრადში თამაში ყაიმით დამთავრდა

(რადიოელვა ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მძიმე პირობებში ჩატარდა ეს საინტერესო მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. **სტალინგრადის "ტრაქტორი"** თავის მოედანზე საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა. **თბილისის "დინამოს"** კარებს ამჯერად იცავდა ახალგაზრდა მეკარე ტყებუჩავა. გაგუა შესცვალა კიკნაძემ. თავბრუდამხვევი შეტევა განავითარეს თბილისელებმა თამაშის დაწყებისთანავე. თავდასხმის ხუთეული სტალინგრადელების კარების ხშირი სტუმარია. მეთერთმეტე წუთზე ძლიერი დარტყმით ჯეჯელავა ხსნის ანგარიშს. მე–27 წუთზე პაიჭაძე ელვისებური გაქანებით ურტყამს საჯარიმო ბურთს. ბურთი ბადეშია. პირველი ტაიმი დამთავრდა 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი უფრო ცხოველ ხასიათს ატარებს. ხშირია კრიტიკული მომენტები ორივე გუნდების კარებთან. მე-15 წუთზე "ტრაქტორის" გუნდის შესანიშნავ თავდამსხმელს პონომარიოვს გააქვს პირველი ბურთი.27-ე წუთზე მეორეჯერ პლაცენკოს მიერ ირღვევა თბილისელთა კარები. დინამოელები უფრო აძლიერებენ თამაშს, მაგრამ შედეგი არ არის.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 18 აგვისტო, 1939 წ.